




SAN DIEGO STATE  
UNIVERSITY

Georgia


სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო

[www.georgia.sdsu.edu](http://www.georgia.sdsu.edu)



# სნობარი

მობილობის წესით ჩარიცხვის  
მსურველი სტუდენტებისთვის



## სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (SDSU) – საქართველო

2015 წლიდან სტუდენტებს მიეცემათ უნიკალური შესაძლებლობა, მიიღონ ამერიკული განათლება და ამერიკული დიპლომი საქართველოში. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (SDSU), ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს უმაღლესი განათლების კომპონენტის ფარგლებში, სტუდენტებს სთავაზობს მაღალი ხარისხის, საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე (ABET, ACS, WASC) საბაკალავრო პროგრამებს საინჟინრო და ტექნოლოგიურ (STEM) დარგებში. კურსდამთავრებულები მიიღებენ ამერიკულ დიპლომს. აღნიშნული პროგრამები ხელს შეუწყობს საქართველოში საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიური დარგების განვითარებასა და ქვეყანაში მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადებას.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკული საბაკალავრო პროგრამები განხორციელდება საქართველოს შემდეგ სამ სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით:

- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები სტუდენტებს მოამზადებს საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ დარგებში წარმატებული პროფესიული კარიერისთვის. პარტნიორ უნივერსიტეტებში პროგრამებისთვის განკუთვნილი სასწავლო აუდიტორიები, საინჟინრო, სამეცნიერო და კომპიუტერული ლაბორატორიების აღჭურვილობა და სტანდარტები, ასევე სტუდენტებისთვის შეთავაზებული ტექნოლოგიები იქნება ამერიკის შეერთებულ შტატებში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული კრიტერიუმების შესაბამისი.

სწავლება განხორციელდება ინგლისურ ენაზე და ლექციებს წაიკითხავენ SDSU-ს ამერიკელი პროფესორები, რომლებიც აკმაყოფილებენ SDSU-ს აკადემიური სრულყოფისა და ამერიკის შეერთებული შტატების პროფესიული აკრედიტაციის სტანდარტებს.

SDSU-საქართველოს სტუდენტებს აგრეთვე ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა ერთი სემესტრით ან ერთი წლით სწავლა განაგრძონ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კალიფორნიის კამპუსში. სტუდენტები ამ შემთხვევაში გადაიხდიან სწავლის იგივე საფასურს, რასაც საქართველოში. შემოთავაზებული იქნება დამატებითი სტიპენდიები გაცვლითი პროგრამებისთვის.

SDSU-საქართველოს სტუდენტები ჩაირიცხებიან სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ბაზაში და მიენიჭებათ სან დიეგოს უნივერსიტეტის სტუდენტის პირადი ნომერი.

პროექტი ხორციელდება აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მეორე კომპაქტის ფინანსური მხარდაჭერით.



2015 წელს სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო, პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით გათავაზობთ შემდეგ საბაკალავრო პროგრამებს:

ივ. ჯაგახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქიმია / ბიოქიმია	ელექტრული ინჟინერია	კომპიუტერული ინჟინერია
------------------	---------------------	------------------------

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელექტრული ინჟინერია	კომპიუტერული ინჟინერია
---------------------	------------------------

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქიმია / ბიოქიმია	ელექტრული ინჟინერია	კომპიუტერული ინჟინერია
------------------	---------------------	------------------------

2016 წლის შემდეგ კი დაემატება საბაკალავრო პროგრამები კომპიუტერულ მეცნიერებებში, სამოქალაქო ინჟინერიასა და სამშენებლო ინჟინერიაში.

## SDSU-ს მიღწევები და აღიარება

- SDSU წარმოადგენს 21-ე საუკუნის ერთ-ერთ მონიავე სახელმწიფო კვლევით უნივერსიტეტს ამერიკაში;
- აღიარებულია, როგორც საუკეთესო მზარდი და ინოვაციური ცვლილებების დამწერგავი სასწავლებელი ამერიკაში - "U.S. News and World Report"-ის მიერ;
- გამოყოფილია 115 მილიონი ამერკული დოლარი წელიწადში კვლევითი გრანტებისა და კონტრაქტების სახით;
- ითვლება აშშ-ს ერთ-ერთ ყველაზე მრავალფეროვან უნივერსიტეტად სტუდენტების შემადგენლობის მიხედვით.

*შემოგვიერთდით და დაგეგმეთ თქვენი წარმატებული კარიერა STEM დარგებში!*

## SDSU-საქართველოს საბაკალავრო პროგრამებზე 2015 სასწავლო წლის მობილობის

### წესები და კრიტერიუმები

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში განხორციელებულ საბაკალავრო პროგრამებზე მობილობით სტუდენტთა ჩარიცხვა მოხდება წელიწადში ერთხელ ივლისი-აგვისტოს პერიოდში.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვა შეეძლება საქართველოს სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების სტუდენტებს STEM (მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია და მათემატიკა) პროგრამიდან და ასევე სხვა მიმართულებებიდან, თუ:

- აქვთ მაღალი აკადემიური მოსწრება მიმდინარე პროგრამაზე და საშუალო წლიური შეწონილი ქულა (GPA) არის 2.5 და მეტი;
- მაღალ დონეზე ფლობენ ინგლისურ ენას და შეუძლიათ წარმოადგინონ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი, ქვემოთ ჩამოთვლილი, რომელიმე საბუთი: ა) ერთიანი ეროვნული გამოცდის ქულა ინგლისურ ენაში: - 59%+1; ბ) TOEFL - მინიმალური ქულა: IBT 70, PBT 523 ; გ) IELTS - მინიმალური ქულა 6.0; ან ინგლისურ ენაში B2 და მეტი ცოდნის დონის დამადასტურებელი სხვა სერტიფიკატი.

## გავლილი კრედიტების აღიარება

SDSU-საქართველოს პროგრამებზე მობილობით გადმოსულ სტუდენტებს შეიძლება ჩაეთვალოს წინა გავლილი პროგრამიდან მაქსიმუმ 30 ECTS კრედიტი;

SDSU-საქართველოს ელექტრული და კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამებზე მობილობით გადმომსვლელ სტუდენტებს ჩაუტარდებათ გამოცდა მათემატიკაში მათი კომპეტენციების დასადგენად.

SDSU-საქართველოს ქიმია / ბიოქიმიის საბაკალავრო პროგრამაზე მობილობით გადმომსვლელ სტუდენტებს ჩაუტარდებათ გამოცდა ქიმიაში მათი კომპეტენციების დასადგენად.

SDSU-საქართველოს პროგრამებზე ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი სტუდენტებისთვის მობილობის წესით ჩარიცხვა მოხდება წინა საბაკალავრო მოსამზადებელი პროგრამის დასრულების შემდეგ. სტუდენტები მაღალ დონეზე უნდა ფლობდნენ ინგლისურ ენას და შეეძლოთ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი, ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე საბუთის წარმოდგენა: ა) ერთიანი ეროვნული გამოცდის ქულა ინგლისურ ენაში: - 59%+1; ბ) TOEFL - მინიმალური ქულა: IBT 70, PBT 523; გ) IELTS - მინიმალური ქულა 6.0; ან ინგლისურ ენაში B2 და მეტი ცოდნის დონის დამადასტურებელი სხვა სერტიფიკატი.

წარმატებით ჩააბარებენ SDSU-საქართველოს ელექტრული და კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამისთვის მათემატიკაში კომპეტენციის განმსაზღვრელ გამოცდას (ინგლისურენოვანი).

წარმატებით ჩააბარებენ SDSU-საქართველოს ქიმია/ბიოქიმიის საბაკალავრო პროგრამისთვის ქიმიაში კომპეტენციის განმსაზღვრელ გამოცდას (ინგლისურენოვანი).

## ფინანსური დახმარება

SDSU-საქართველოს პროგრამებზე მობილობით ჩარიცხულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მოიპოვონ ნაწილობრივი თანადაფინანსება (50 პროცენტამდე) სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

SDSU-საქართველოს პროგრამებზე მობილობით ჩარიცხულ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მოიპოვონ სრული (100%-იანი) ან ნაწილობრივი (75%, 50%, 25%) თანადაფინანსება.

აირჩიეთ თქვენი მიმართულება | 2015 წელს შემოთავაზებული პროგრამები

*სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამები გრძელდება 4 წელი, 8 სემესტრი.*

### ქიმია / ბიოქიმიის საბაკალავრო პროგრამა

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა ქიმია / ბიოქიმიაში მოიცავს საგნის ფართო სპექტრს, მათ შორის ანალიზურ, არაორგანულ, ორგანულ, ფიზიკურ და ბიოლოგიურ ქიმიას. SDSU-ს საბაკალავრო პროგრამა შეისწავლის თითოეული სფეროს საფუძვლებს ლაბორატორიულ კვლევასა და ქიმიის პრაქტიკულ გამოყენებაზე აქცენტით.

ქიმიის შესწავლას მივყავართ საინტერესო და წარმატებული კარიერისკენ ისეთ სფეროში, როგორცაა ფარმაცევტული პროდუქციის განვითარება, ენერჯის ალტერნატიული წყაროების მოძიება, ახალი პროცესებისა და პროდუქტების შექმნა, ნივთიერების აგებულების შესწავლა, ნატურალური პროდუქტების იდენტიფიცირება და დახასიათება, ეკოლოგიური პრობლემების შეფასება, თუ ცოცხალ უჯრედებში მიმდინარე პროცესების კვლევა.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის/ბიოქიმიის პროგრამა სერტიფიცირებულია ამერიკის ქიმიის საზოგადოების მიერ (ACS).

### კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა გთავაზობთ კომპიუტერებისა და სხვადასხვა ტიპის ციფრული სისტემების შექმნისა და აწყობის შემსწავლელ კურსებს. აღნიშნული კურსები მოიცავს ისეთი რთული სისტემების შესწავლას, რომელთა საშუალებითაც ხდება ფიზიკური სისტემებისა და გარემოთა სიმულაცია, ამინდის პროგნოზირება, ავიაბილეთების დაჯავშნა, ასევე მიკრო და ნანო რეგულატორების მოხმარება ავტომობილებში, ტექნიკაში, კამერებში, რობოტებში, სამედიცინო ინსტრუმენტებსა და სხვა მონაცემების დამუშავებაში.

კომპიუტერული ინჟინერები ასევე ქმნიან და შეიმუშავენ პროგრამებს, რომლებიც აკონტროლებენ კომპიუტერების მუშაობას და შესაძლებლობას იძლევიან შეასრულონ სხვადასხვა ტიპის ინოვაციური ამოცანები.

კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამა გთავაზობთ თეორიისა და პრაქტიკის რაციონალურ ბალანსს, რომელიც კურსდამთავრებულებს ამზადებს როგორც სწავლის დამთავრებისთანავე დასაქმებისთვის, ასევე სწავლის შემდგომ ეტაპზე გასაგრძელებლად.

### კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა გთავაზობთ კომპიუტერებისა და სხვადასხვა ტიპის ციფრული სისტემების შექმნისა და აწყობის შემსწავლელ კურსებს. აღნიშნული კურსები მოიცავს ისეთი რთული სისტემების შესწავლას, რომელთა საშუალებითაც ხდება ფიზიკური სისტემებისა და გარემოთა სიმულაცია, ამინდის პროგნოზირება, ავიაბილეთების დაჯავშნა, ასევე მიკრო და ნანო რეგულატორების მოხმარება ავტომობილებში, ტექნიკაში, კამერებში, რობოტებში, სამედიცინო ინსტრუმენტებსა და სხვა მონაცემების დამუშავებაში.

კომპიუტერული ინჟინერები ასევე ქმნიან და შეიმუშავენ პროგრამებს, რომლებიც აკონტროლებენ კომპიუტერების მუშაობას და შესაძლებლობას იძლევიან შეასრულონ სხვადასხვა ტიპის ინოვაციური ამოცანები.

კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამა გთავაზობთ თეორიისა და პრაქტიკის რაციონალურ ბალანსს, რომელიც კურსდამთავრებულებს ამზადებს როგორც სწავლის დამთავრებისთანავე დასაქმებისთვის, ასევე სწავლის შემდგომ ეტაპზე გასაგრძელებლად.

## მობილობის ვადები:

### 1 ივლისი – 15 აგვისტო, 2015

დაინტერესებული სტუდენტებისთვის ყოველ სამშაბათს და პარასკევს 2 სთ-დან 5 სთ-მდე SDSU-საქართველოს ქვემოთ მითითებულ მისამართზე გაიმართება ღია კარის დღეები.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი: ჩოლოყაშვილის 3 / 5, E კორპუსი, ოთახი #107

### 1 ივლისი – 20 ივლისი, 2015

SDSU-საქართველოს პროგრამებზე დაფინანსების მოპოვების მსურველებმა უნდა შეავსონ ფინანსური დახმარების განაცხადის ელექტრონული ფორმა, რომელიც განთავსებულია ჩვენს ვებგვერდზე: [www.georgia.sdsu.edu](http://www.georgia.sdsu.edu).

### 27 ივლისი – 17 აგვისტო, 2015

SDSU-საქართველოს პროგრამებზე ჩასარიცხი ყველა სტუდენტი ინფორმირებული იქნება ფინანსური დახმარების მიღების და მისი ოდენობის შესახებ 2015 წლის 17 აგვისტომდე.

მობილობის განსახორციელებლად სტუდენტებმა უნდა გადაიხადონ სწავლის დადგენილი საფასური და დარეგისტრირდნენ SDSU-საქართველოს პროგრამებზე ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული ცენტრის (EQE) ვებგვერდზე: <http://www.eqe.ge-geo/static/47/mobility-timelines>, 2015 წლისთვის დადგენილ ვადებში.

### 17 აგვისტო – 1 სექტემბერი, 2015

SDSU-საქართველოს მიერ ქართულ პარტნიორ უნივერსიტეტებში შემოთავაზებულ პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველმა სტუდენტებმა SDSU-საქართველოს ოფისებში უნდა წარმოადგინონ დოკუმენტების დედნები დადგენილი ჩამონათვალის შესაბამისად ([www.tsu.edu.ge](http://www.tsu.edu.ge), [www.iliauni.edu.ge](http://www.iliauni.edu.ge) [www.gtu.edu.ge](http://www.gtu.edu.ge) )

### 14 სექტემბერი, 2015 – აკადემიური წლის დასაწყისი.



## საკონტაქტო ინფორმაცია:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: ჭავჭავაძის 3, II კორპუსი, ოთახი #101

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი: ჩოლოყაშვილის 3 / 5, E კორპუსი, ოთახი #107

ტელ: +995 593498512

ელ-ფოსტა: [georgiainfo@mail.sdsu.edu](mailto:georgiainfo@mail.sdsu.edu)

Facebook: [SDSU.Georgia](https://www.facebook.com/SDSU.Georgia)